



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 87
08/01/2018

ქალაქი ბათუმი

87-05-4-201801081758



ვარდო მალაყმაძესთან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის №2473 ბრძანებისა და ვარდო მალაყმაძის 2018 წლის 08 იანვრის №49-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვარდო მალაყმაძეს შორის 2017 წლის 04 აპრილს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის №328 ბრძანებით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადა გაგრძელდეს 2018 წლის 08 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით.
2. შეტანილი იქნეს ცვლილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვარდო მალაყმაძეს შორის 2017 წლის 04 აპრილს გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.
3. წინამდებარე ბრძანება წარმოადგენს ვარდო მალაყმაძესთან 2017 წლის 04 აპრილს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განყოფილ ნაწილს.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა